

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	95968	333926
სავაჭრო მოთხოვნები	1706943	1191007
გადახდილი ავანსები	17119	68832
მარაგები	949500	1095639
მზა პროდუქცია	0	1425
სხვა	949500	1094214
საინვესტიციო ქონება	0	39
სხვა მიმდინარე აქტივები	560081	447715
ბიოლოგიური აქტივები	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0
გადაფასების მოდელით	0	0
გუდვილი	0	98000
სხვა არამატერიალური აქტივები	26612	32800
ძირითადი საშუალებები	3338847	5365247
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	80	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	80
სულ აქტივები	6695150	8633285
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	258123	694763
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	10391
გამოუმუშავებელი შემოსავალი	57084	60042
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5761240	8258148
მიღებული გრანტები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	6076447	9023344
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2453000	258000
საემისიო შემოსავალი	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-1834297	-648059
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა რეზერვები	0	0
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	618703	-390059
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	618703	-390059
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6695150	8633285

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	7047522	7867210
საქონლის გაყიდვიდან	1510754	11031
მომსახურების გაწევიდან	5373342	7744964
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	163426	111215
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2824936	-3853655
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	4222586	4013555
სხვა შემოსავალი	0	332897
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1627387	-1989599
ცვთა და ამორტიზაცია	-220453	-330284
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	-479687	-591483
იჯარის ხარჯი	-62388	-276317
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1427690	-1013917
სულ საოპერაციო ხარჯები	-3817605	-3868703
საოპერაციო მოგება	404981	144852
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-246130	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	-7289
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	158851	137563
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	158851	137563
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უმრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	158851	137563
მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	158851	137563
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0	0
მოგება/(ზარალი)	158851	137563
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის	158851	137563
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	158851	137563
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	-390059	106636
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	1938410	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-1088499	-504258
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-130000
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	618703	-390059

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	858178	-236817
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	2145386	-13761
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-3236909	-56880
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-233345	-307458
სავალუტო კურსის ეფექტი	-4613	-2083
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	333926	643467
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	95968	333926

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს "ვდ კაპიტალი" (205046010) და შვილობილი კომპანიები: შპს თაღლაურა (404851255), შპს "ვერტექს ჯგუფი" (205152056), შპს "ვილა ძარა" (211381011), შპს "ავტობანი 2005" (234224808), რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად. ძირითადი საქმიანობაა იჯარით გაცემული უძრავი ქონება - ძირითადად შვილობილ კომპანიებზე, საკონსულტაციო მომსახურება და შვილობილი კომპანიების სარესტორნო მომსახურება.

შპს "ვდ კაპიტალი"-ს შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებულია საქართველოს კანონი "მეწარმეთა შესახებ", მესამე კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი (მსს ფასი). ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა "სუპერფინის"-ის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა და რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები კონვერტირდება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების მოხდენის დღეს დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით ფუნქციონალურ ვალუტაში. ფულად ერთეულებზე უცხოური ვალუტის მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისისთვის ფუნქციონალურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით და პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის, გადაანგარიშებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღის შესაბამისი სავალუტო ოფიციალური გაცვლითი კურსით. ვალუტის კონვერტირებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს:	2.6766	3.0701
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს:	2.8677	3.2095

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

შემოსავალი

უძრავი ქონების იჯარიდან და საკონსულტაციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

საიჯარო შემოსავლის აღრიცხვა უძრავი ქონებიდან ხდება მიღებული ან/და მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება სავაჭრო და სხვა ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც განხორციელდა მომსახურების მიწოდება და როდესაც მოსალოდნელი გახდა, რომ საფასურის მიღება და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

სარესტორნო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი

სარესტორნო შემოსავლის აღრიცხვა ხდება მიღებული ან/და მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რომელსაც გამოაკლდება სავაჭრო და სხვა ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, რომელშიც განხორციელდა მომსახურების მიწოდება და როდესაც მოსალოდნელი გახდა, რომ საფასურის მიღება და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

სხვა შემოსავლები (სარეკლამო მომსახურება)

გაწეული სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღრიცხვა ხდება შემოსავლებში იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა, შესაბამისი მიღებული ან მისაღები საფასურის სამართლიანი ღირებულებით, სავაჭრო, სხვა და ფასდაკლებების გამოკლებით.

მარაგები

ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და ითვალისწინებს მარაგების შეძენასთან, წარმოებასა და კონვერსიასთან, აგრეთვე მათ არსებულ ადგილზე და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან დაკავშირებულ ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ჩვეულებრივი ბიზნესის ოპერირების პირობებში არსებულ გასაყიდ ფასს გამოკლებული პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

ძირითადი საშუალებები

ალიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები. თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის შეძენას.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება-ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

ცვეთა

მომენტიდან. ცვეთა ანგარიშდება აქტივის ღირებულებიდან, რომელსაც გამოკლებული აქვს მისი ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, აქტივებისთვის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. ძირითადი საშუალებების მოსალოდნელი საშუალო მომსახურების ვადა მიმდინარე და შესადარის პერიოდში შემდეგია: ავეჯი და აღჭურვილობა 3-10 წელი.

თანამშრომელთა სარგებელი

მოკლევადიანი თანამშრომელთა სახელფასო ვალდებულებები განისაზღვრება არა დისკონტირებული საფუძველით და წარმოადგენს პერიოდის ხარჯს, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიღებულია კომპანიის მიერ. ვალდებულება აღიარებულია იმ თანხით, რომელიც მოსალოდნელია რომ დაექვემდებარება გადახდას.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი დივიდენდების გადახდის შედეგად აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში გადახდის ფაქტიური თარიღისა და პერიოდის დამოუკიდებლად.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისაგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.